№ 155 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, ივლისის 14 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან- სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ- საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება- ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედა- ქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82



## ქოლობნის თემის ერობის გამგეობა

ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ სამიქაოს საზო- გადოებიდან, სენაკის მაზრა, შექმნილია ორი თემი,

### ქ ო ლ ო ბ ნ ი ს ა  დ ა  ს ა მ ი ქ ა ო ს.

ქოლობნის თემში შედიან სოფლები: ქოლობანი, დიდი-გეზათი, პატარა გეზათი, გუგუნა- ყათი და ბულვანი. ქოლობნის ერობის მუშაობა დაიწყო 1920 წ. ივნისის 2-დან. ზემო მო- ხსენებული სოფლების შესახებ ყოველგვარი საქმეები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისა- **მართით:** დაბა აბაშა, (სენაკის მაზრა) ქოლობნის თემის ერობის გამგეობას.

738 5—3

## სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

**იწვევს: ორს ინჟინერს (გზათა ალმშენებ. და ჰიდრო-ტეხ) ორს ხეთემო ინსტრუქტორს, სამს აგრონომს, ერთ სკოლების ინსტრუქტორს,**

ექიმებს, ფარმაცევტებს, ორ მომრიგებელ მოსამართლეს, ორს ვეტერინარ ექიმს, ბუ- ჰალტერს, (საერობო ბუხჰალტერიის მცოდნეს) და სამეურნეო ინსტრუქტორებს, თხოვნების და შესაფერი საბუთების წარდგენით უნდა მიმართონ ზემოხსენებულ გამგეობას, პირობები გამგეობასთან შეთანხმებით.

747 3—1 **სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა**

ივლისის 25 დღის 12 საათზედ ტფილისის ქალთა მე-2-ე გიმნაზიის ეზოში, დიდი მთავრის ქუჩა № 59

## მოხდება საჯარო ვაჭრობა

ძველ რკინეულებზე, ცნობების მიღება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში სამშაბათობით და პარასკეობით დილის 10—12 საათამდე, საქმის მწ არმოებელთან.

1796 1—1 ქალთა მეორე გიმნაზიის დირექტორი **გ. ახვლედიანი.**

## ვაჭრობა-მრეწვ. სამინისტროს საბაჟო ნაწილი

ამით აცხადებს მოვაჭრეთა საყურადღებოთ, რომ ბათუმის შემოერთების გამო მოიხსნა ნა- ტანების საბაჟო და დაიწყო მოქმედება ბათუმის საბაჟოს.

745 1—1



### ოფიციალური განყოფილება

## კ ა ნ ო ნ ი

**რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შტა- ტისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკი- ცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ამ კანონთან დართული მი- ლიციის შტატი და ხარჯთაღრიცხვა რესპუბ- ლიკის შემდეგი ქალაქებისა: 1) ქალ. ტფი- ლისისა, 2) ქუთაისისა, 3) ფოთისა, 4) სო- ხუმისა, 5) გორისა, 6) თელავისა, 7) სიღნა- ღისა, 8) ახალქალაქისა, 9) ახალციხისა, 10) დუშეთისა, 11) კოჯრისა, 12) ხაშურისა, 13) სურამისა, 14) ზუგდიდისა, 15) ჭიათუ- რისა, 16) ხონისა, 17) ონისა, 18) ზესტა- ფონისა, 19) სენაკისა, 20) სამტრედიისა, 21) ლანჩხუთისა, 22) ოზურგეთისა, 23) რე- დუტკალისა, 24) ოჩემჩირისა, 25) გუდაუ- თისა, 26) გაგრისა და 27) ბორჯომისა.

2) პირველ (1) მუხლში აღნიშნული ქალაქ- თა მილიციის შტატისა და ხარჯთაღრიცხვი- სათვის საჭირო თანხის სამოცდა ხუთმეტი (75) პროცენტის დასაფარავად გაცემულ იქ- ნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებისათვის ამა 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე ოცდა ორი მილიონი შვიდას თექვსმეტი ათას ორას სამოცდა ხუთი მან. და 43 კაპ. (22.716.265 მან. 43 კაპ.).

3. ამ კანონით დამტკიცებული რესპუბლი- კის ქალაქთა მილიციის შტატზე გავრცელე- ლებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით და- წესებული მიმატება ჯამაგირისა.

4. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მი- ღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავ- მჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება № 1 ა.

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

**ტფილისის ქალაქის მილიციისა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობათა სახელწოდება. | მოხელეთა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი. თვითეულს. მან. | კ. | თვიური ჯამაგირი. ყველას. მან. | კ. | ხუთ თვეში 1920 წ. იანვრის 1-დან ივნის. 1-დე. ყველას. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **მილიციის უფროსის სამართველო.** | | | | | | | |
| 1 | მილიციის უფროსი | 1 | 7800 | — | 7800 | — | 39000 | — |
| 2 | მილიციის უფროსის თანაშემწე | 3 | 5800 | — | 17400 | — | 87000 | — |
| 3 | საქმეთა მმართველი | 1 | 5800 | — | 5800 | — | 29000 | — |
| 4 | განსაკუთ. მინ. მოხელე | 2 | 3716 | 16 | 7432 | 32 | 37161 | 60 |
| 5 | პირადი მდივანი | 1 | 4070 | 58 | 3167 | 58 | 15837 | 90 |
| 6 | ბუხჰალტერი | 1 | 3167 | 8 | 4070 | 8 | 20350 | 40 |
| 7 | ეგზეკუტორი | 1 | 3167 | 58 | 3167 | 58 | 15837 | 90 |
| 8 | მაგიდის გამგე | 5 | 3167 | 58 | 15837 | 90 | 79189 | 50 |
| 9 | მაგიდის გამგის თანაშემწე | 5 | 3008 | 32 | 15041 | 60 | 75208 | — |
| 10 | რეგისტრატორი | 1 | 3008 | 32 | 3008 | 32 | 15041 | 60 |
| 11 | არქივარიუსი | 1 | 3008 | 32 | 3008 | 32 | 15041 | 60 |
| 12 | მოანგარიშე | 4 | 3008 | 32 | 12033 | 28 | 60166 | 40 |
| 13 | ბილ. ნაწილის ზედამხ. | 2 | 3008 | 32 | 6016 | 64 | 30083 | 20 |
| 14 | ამწყობი | 1 | 3008 | 32 | 3008 | 32 | 15041 | 60 |
| 15 | მწერალი მილ. ნაწ. | 2 | 3008 | 32 | 6016 | 64 | 30080 | 20 |
| 16 | გადამწერი | 30 | 2866 | 75 | 86002 | 50 | 430012 | 50 |
| 17 | მსახური | 10 | 2580 | 6 | 25800 | 60 | 129003 | — |
| 18 | შოფერი | 3 | 2999 | 30 | 11997 | 90 | 59989 | 50 |
| 19 | შოფერის თანაშემწე | 1 | 2654 | 40 | 2654 | 40 | 13272 | — |
| 20 | მეეტლე | 3 | 2866 | 75 | 8600 | 25 | 43001 | 25 |
| 21 | მეჯინიბე | 1 | 2528 | 96 | 2528 | 96 | 12644 | 80 |
| | სულ . . | 79 | — | — | 250393 | 19 | 1251965 | 95 |
| | **კომისარიატები.** | | | | | | | |
| 1 | კომისარი | 13 | 4000 | — | 52000 | — | 260000 | — |
| 2 | კომისარის თანაშემწე | 26 | 3000 | — | 88400 | — | 442000 | — |
| 3 | უფროსი მილიციელი | 93 | 3024 | — | 281232 | — | 1406160 | — |
| 4 | უმცროსი მილიციელი | 818 | 2844 | 80 | 232704 | 40 | 11635233 | — |
| | **კანცელარია.** | | | | | | | |
| 1 | საქმის მწარმოებელი | 13 | 3079 | 10 | 40028 | 30 | 200141 | 60 |
| 2 | მწერალი | 41 | 2366 | 75 | 117536 | 75 | 587683 | 75 |
| 3 | მსახური | 38 | 2582 | 6 | 98118 | 28 | 490591 | 40 |
| | სულ . . | 1042 | — | — | 3004361 | 73 | 15021808 | 65 |
| | **მილიციის რეზერვი.** | | | | | | | |
| 1 | რეზერვის უფროსი | 1 | 4500 | — | 4500 | — | 22500 | — |
| 2 | უმცროსი მილიციელი | 50 | 2844 | 80 | 142240 | — | 711200 | — |
| | სულ . . | 51 | — | — | 146700 | — | 733700 | — |
| | **სისხლის სამართლის მილიცია.** | | | | | | | |
| 1 | სისხლის სამართლის მილიციის უფროსი | 1 | 6500 | — | 6500 | — | 32500 | — |
| 2 | მისი თანაშემწე | 4 | 4500 | — | 18000 | — | 90000 | — |
| 3 | უფროსი მილიციელი | 15 | 3024 | — | 45360 | — | 296800 | — |
| 4 | უმცროსი მილიციელი | 23 | 2844 | 80 | 65430 | 40 | 327152 | — |
| 5 | საიდუმლო აგენტი | 13 | 2844 | 80 | 36982 | 40 | 184912 | — |
| | **კანცელარია.** | | | | | | | |
| 1 | საქმის მწარმოებელი | 1 | 3167 | 88 | 3167 | 58 | 15837 | 90 |
| 2 | მისი თანაშემწე | 2 | 3008 | 32 | 6016 | 64 | 30083 | 20 |
| 3 | მოანგარიშე | 1 | 2866 | 75 | 2866 | 75 | 14333 | 75 |
| 4 | რეგისტრატორი | 1 | 2866 | 75 | 2866 | 75 | 14333 | 75 |
| 5 | მწერალი | 2 | 2866 | 75 | 5733 | 50 | 28667 | 50 |
| 6 | მსახური | 2 | 2580 | 6 | 6160 | 12 | 25800 | 60 |
| 7 | დამტარებელი | 1 | 2725 | 18 | 2725 | 18 | 13625 | 90 |
| | სულ . . | 66 | — | — | 200809 | 32 | 1004046 | 60 |
| | საერთო ჯამი . | 1238 | — | — | 3602304 | 24 | 18011521 | 20 |

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დამატება № 1 ბ.

## ტფილისის ქალაქის მილიციის ხარჯთაღრიცხვისა.

| №№ რიგზე | ხარჯის სახელწოდება | თვიურად მან. | კ. | ხუთ თვეში 1920 წ. იანვრის 1-ან ივნისის 1-დე მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკანცელარიო ხარჯი | 74.780 | — | 373.900 | — |
| 2 | სამეურნეო ხარჯი | 109.500 | 25 | 547.501 | 25 |
| 3 | მილიციის სამმართველოთა სადგომების და მოხელეთა ბინების გათბობა-განათება | 47.845 | 79 | 239.228 | 95 |
| 4 | მილიციის სამმართველოს სადგომის და მოხელეთა ბინე- ბის დაქირავება | 6.051 | 31 | 30.256 | 55 |
| 5 | მილიციის მოხელეთა შემოსვა | 415.706 | 66 | 2.078.533 | 30 |
| 6 | სისხლის სამართლის მილიციის სამეურნეო და სააგენ- ტურო ხარჯი | 49.627 | 75 | 248.138 | 75 |
| 7 | გარეგან ნაწილის მილიციის მოხელეთა დაზღვევა უბე- დურ შემთხვევაში | 8.333 | 33 | 41.666 | 65 |
| | სულ . . | 70.845 | 09 | 3.559.225 | 45 |
| | ჯ ა მ ი . . | 4.314.149 | 33 | 21.570.746 | 65 |

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი.

**იუსტიციის მინისტრისა.**

30 ივნისი, 1920 წ., № 236.

დაინიშნოს თანახმად თავისი თხოვნისა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომ- ქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევ- რად ამავე კომისიის მდივნის თანამდებობის დაკისრებით, ტფილისის ოლქის სასამართ- ლოს წევრი ვიქტორ მიხეილის ძე ლუნკევი- ჩი ამა წლის ივლისის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

30 ივნისი, 1920 წ. № 237.

მოწვეულ იქმნან იუსტიციის სამინისტროს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრებად საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პროკურორი ანტონ სტეფანეს ძე გელაზარაშვილი, ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი მიხეილ არკიპოზის ძე ტატიშვილი და ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორი იოსებ დავითის ძე სიდავა ყველანი თავის თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის ივლისის 1-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟურდანია.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

30 ივნისი, 1920 წ. № 235.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშვნისა გამო კანონთა გადამსინჯავ კომისიის მდივანი მიხეილ ბარნაბიშვილი ამა წლის ივლისის 1-დან.

№ 238.

ტფილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეში ბოროტმოქმედთა იმ ორგანიზაციის აღმოჩენისათვის, რომელიც აწარმოებდა ყალბი საბუთებით პატიმრების განთავისუფლებას, ენერგიულ ზომების მიღებისთვის და სამსახურისადმი ყურადღებით მოპყრობისათვის მადლობას ვუცხადებ საპყრობილეთა ინსპექტორს ალექსანდრე სვიმონის ძე ყიფიანს და ტფილისის № 1 საპყრობილეს უფროსს მელიტონ ანტონის ძე დუმბაძეს.

№ 240.

დაინიშნენ: იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყობილების უფროსი ივანე ბერიაშვილი კანცელარიის უფროსად, ამავე კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსის თანაშემწე მიხეილ მონასელიძე საერთო განყოფილების უფროსად და საქმის მწარმოებელი ნინო ლომაურის ასული საერთო განყოფილების უფროსის თანაშემწედ ყველანი ამა წლის ივლისის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორი
**გ. ჟურდანია.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

2 ივლისი, 1920 წ., № 209.

დაინიშნოს აქციზის ინსპექტორი ტფილისის საბაჟოსთან ნიკოლოზ დიმიტრის ძე სრესელი, თანახმად მისი თხოვნისა ტფილისის მე 4 ნაწილის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა წლის 1 ივლისიდან.

№ 210.

დაევალოს სააქციზო სამმართველოს უფროსის თანაშემწის მარკოზ მაქსიმეს ძე სულხანიშვილს დროებით ამავე სასამართლოს უფროსის მოვალეობის აღსრულება ამა წლის 1 ივლისიდან, იმ დროის განმავლობაში, რა დროსაც სამმართველოს უფროსის ახლანდელი მოადგილე სპირიდონ ბაქრაძე ტფილისში არ იქნება.

ფინანსთა მინისტრის მოვალეობის
აღმასრულებელი **ავალიანი.**

—

**ტფილისის კომენდანტისა.**

12 ივლისი, 1920 წ., № 9.

1.

ვახცადებ ცნობისათვის, რომ ჩემდამი რწმუნებული სამმართველო გადატანილია რუსთაველის პროსპექტზე „ევროპიულ სასტუმროს" ნომრებში, სახელმწიფო თეატრის გვერდით. ტელეფონის № 1-44.

2.

სამ ამა ივლისს 23 საათზე ბაღში „მერცხალი" ქართველ მუსულმანთა დივიზიონის კაპიტანმა ფირალოვმა სიმთვრალისას გაისროლა რევოლვერიდან, რისთვისაც დასახელებული ოფიცერი დაპატიმრებულია და გაგზავნილია სამხედრო საპყრობილესთან არსებულ გაუპტვახტაში განსაკუთრებულ განკარგულებამდის.

კვლევა-ძიება სწარმოებს.

ტფილისის კომენდანტი
გენერალი **მიქაშავიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# ბათომი

**ბათომის სასურსათო მდგომარეობა.**

ბათომიდან ტფილისს დაბრუნებული მომარაგების მინისტრის ამხანაგი ი. თ. ჰავჰანიძე ბათომის სასურსათო მდგომარეობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს: „ინგლისელებს წასვლისას არ დაუტოვებიათ ქალაქში არავითარი სანოვაგე, ამიტომ ქალაქის გადმოცემის დროს სასურსათო საქმე ბათომში არა სასურველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუმცა ცოტაოდენი ფქვილი (25,000 ფუთი) დარჩა, მაგრამ ის კერძო პირებს ეკუთვნოდა და ამიტომ რეკვიზიციის შიშის გამო მეპატრონეებმა მიმალეს. ბათომის ქალაქის გამგეობა ფუთ ფქვილში სამი ათას მანეთს აძლევდა მაგრამ ეს ფასი მეტათ დიდი იყო. მეტათ მძიმე მდგომარეობის გამო თვითმართველობას განზრახვა ჰქონდა 1.000 ფ. ფქვილის რეკვიზიციისა, მაგრამ ი. თ. ჰავჰანიძე კატეგორიულათ რეკვიზიციის წინაალმდეგი გამხდარა. ბათომის სასურსათო მდგომარეობა რთულდება კიდევ იმით, რომ ინგლისელების დროს ქალაქის მკვიდრნი გირვანქა პურს 20 მან. იღებდენ. ამ წესს მომარაგების სამინისტრო მომავალშიაც სტოვებს. სანოვაგის საქმის გასაუმჯობესებლათ მიღებულ იქმნა აუცილებელი ზომები: ი. თ. ჰავჰანიძემ განკარგულება გასცა დაუყონებლივ გაგზავნონ ბათომისთვის ორი ვაგონი ფქვილი. სპეციალურათ მოწვეულმა თათბირმა სანოვაგის საკითხის შესახებ აუცილებელ საჭიროებათ დაინახა დროებით ბათომს პური ტფილისიდან მიაწოდონ. ბათომში მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ხელშეკრულება დასდო, რომლის ძალითაც 20 ათასი ფ. პური უნდა მოზიდონ ბათომისთვის კონსტანტინოპოლიდან არა უგვიანეს 15 ივლისისა. მანამდის კი მცხოვრებთა გამოსაკვებათ განკარგულებაა გაცემული გაიგზავნოს ტფილისიდან ბათომს კიდევ ხუთი ვაგონი ფქვილი.

—

# მთავრობაში

**6 ივლისის სხდომა.**

**დახმარება გვარდიასა და ჯარს.**

გადაეცეს სამხედრო მინისტრს თავის განკარგულებაში 15 ივნ. დეკრეტის თანახმად ჯარის და გვარდიის ნაწილებისათვის ერთ დროულ დახმარების მისაცემად 4,438,135 მან. დაევალოს სამხედრო მინისტრს შეიმუშაოს სათანადო პროექტი და დამფუძნებელ კრებაში შეიტანოს.

**ხიდი მდინარე რიონზე.**

მდინ. რიონის ჩრდილოეთის მხრივ მყოფ ტოტზე ხიდის ასაგებად გადაიდოს 14,700 ათასი მან. ამ ჯამის ნახევარი უნდა შეიტანოს ქალაქის თვითმართველობამ, მეორე ნახევარი კი სახელმწიფო ხაზინამ. იმის გამო, რომ ფოთის ქალ. თვითმართვ. ამდენი ფული ხელთ არა აქვს, გადასწყდა ფული მისცეს სესხის სახით. ამ გადასახადის გარანტია იქნება ქალაქის საფუთო გადასახადი. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა შეიმუშავოს შესაფერი კანონ-პროექტი და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

**დახმარება მილიციას.**

მთავრობამ დაადგინა საჭირო ჯამი გაიღოს ქალაქის და მაზრის მილიციის დასახმარებლათ. მთავრობა მონაწილეობას ღებულობს დახმარებაში პროპორციონალურად იმ მონაწილეობისა, რომელსაც საერთოდ ხაზინა იღებს მილიციის შესანახად ე. ი. ქალაქებში 50°/₀ და მაზრებში 100°/₀-დე. ამ 100 °/₀-დან 25°/₀ სესხის სახით ეძლევათ.

**ღვინის ბოჭკების გატანის წესი.**

ღვინის ბოჭკების საზღვარ გარეთ გატანა შეიძლება მხოლოდ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა და მომარაგების მინისტრების ნებართვით. ბოჭკების გატანის დროს უნდა დატოვებულ იქნას გატანილ ბოჭკების ფასზე ათჯერ მეტი ბე.

—

# ფინანსთა სამინისტროში

**საბაჟო გადასახადის შემოსავალი.**

თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა მიმდინარე წლის განმავლობაში, ე. ი. 1919 წ. ივნისიდან 1920 წლ. 31 მაისამდე რესპუბლიკის კასებში საბაჟო გადასახადის სახით 40,890,188 მან. შემოსულა. ნამდვილად ეს შემოსავალი მეტი იყო, რადგანაც საბაჟო გადასახადიდან შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდა უწყების მიმდინარე ხარჯების დაფარვას. ეს თანხა გაცილებით აღემატება ხარჯთ-აღრიცხვით გამოანგარიშებულ შემოსავლის თანხას, რომელიც 24,500,000 მანეთს უდრიდა. ამ რიგად საბაჟო გადასახადის შემოსავალმა უწყებას მისცა ზედმეტი 16,390,188 მან. იმავე ფინანსთა სამინისტროს ცნობით ხარჯთ-აღრიცხვის წლის პირველი თვის განმავლობაში შემოსავალი საბაჟო გადასახადიდან ძლიერ მცირე იყო სულ 1,817,268 მან. საერთოდ საბაჟო გადასახადების შემოსავალმა უკანასკნელ თვეებში იმატა და მაქსიმუმი შემოსავლისა მაისმა მოგვცა სახელდობრ 11,253,324 მან. საბაჟო გადასახადის შემოსავლის ასეთი მომატების მიზეზი არის ახალი საბაჟო ტარიფის გატარება, რომლის ძალით გადასახადი ფუფუნების საგნებზე საგრძნობლად გადიდდა. ფინანსთა სამინისტროს ფიქრით შემოსავალი საბაჟო გადასახადიდან ივნისის განმავლობაში კიდევ მოიმატებს, ვინაიდან საბაჟო გადასახადი ზოგიერთ გადასატან საქონელზედაც არის დაწესებული. საბაჟო გადასახადის შემოსავალი ცალ-ცალკე ხაზინებში არ არის თანასწორი. შემოსავლის მხრით პირველ ადგილზე დგას ტფილისის ხაზინა 72,161,718 მან., მეორე ადგილზე ფოთის 6,098,836 მ., მესამე სოხუმის 2,110,927 მან. ფინანსთა სამინისტრო ფიქრობს, რომ ბათომის შემოერთებით საბაჟო გადასახადის შემოსავალი საგრძნობლად მოიმატებსო.

—

# მუშათა ორგანიზაციების შეერთებული სხდომა

**ე. გეგეჭკორის სიტყვის დასასრული.**

საქართველოს მეგობრები არა ჰყავს. ღრუბლები იკუმშება. არა გვაქვს გარანტია იმისა, რომ უპასუხისმგებლო პირები ისევ არ გააძნელებენ საქმეს. და ეხლა, როდესაც საქართველომ ბათომში ბრწყინვალედ გაიმარჯვა, როდესაც საქართველოს დროშის წინაშე დაეშვენ დიდ სახელმწიფოთა დროშები (ტაში), როდესაც მივაღწიეთ მას, რომელსაც ისტორია დააფასებს, ჩვენ ამ მომენტში გაათკეცებული ენერგიით უნდა ბოლო მოუღოთ ყოველგვარ პროვოკაციას, რომელიც ჩვენი დემოკრატიის წინაალმდეგ არის მიმართული. თქვენ უნდა სთქვათ, რომ არავის არ მისცემთ ნებას და შეძლებას ძალათ თავს მოვახვიონ სხვისი სურვილი. თქვენ რევოლიუციონურ სიმტკიცესთან არავითარ პროვოკაციას არ შეუძლია თქვენი მთავრობის დამხობა. როდესაც ამაღელვებელი, პროვოკაციული ცნობა გამოჩნდა, ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ, რომელზედაც გვიპასუხეს, რომ ბაქოტფილისს მოწყვეტილია და როდესაც ნორმალური დამოკიდებულება აღდგენილი იქნება, ამას ადგილი აღარ ექნებაო. მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ თქვენს მთავრობაში და იცით, რომ ის სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოსა და თქვენს წინაშე, მაგრამ რომ შევინარჩუნოთ ხელშეკრულობა და ჩვენი რესპუბლიკა, საჭიროა თქვენი დახმარება და თქვენის თანამშრომლობით ჩვენ გამოვნახავთ ძალას ჩვენი მუშაობის გასაგრძელებლად სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში (ტაში).

**ნ. რამიშვილის სიტყვა.**

შემდეგ კრების თავმჯდომარე სიტყვას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს ნოე რამიშვილს, რომელიც ამბობს, მუშებმა უნდა იცოდენ, თუ როგორ მოქმედებენ საქართველოში კომუნისტები. ლეგალურ მუშაობის გარდა აწარმოებენ, თუ არა ისინი არა ლეგალურ მუშაობას? და მუშებს აქვთ უფლება ამის გაგებისა. ნ. რამიშვილი ამბობს, რომ ეს მესამე სხდომაა, რომელზედაც მას ერთ და იმავე შეკითხვას აძლევენ. მე ბედნიერი ვარ, ამბობს მინისტრი, რომ როგორც მაშინ, ეხლაც შემიძლიან გარკვეული და პატიოსანი პასუხი. თქვენი შეკითხვა დიდათ სერიოზულია, ვინაიდან ამ შეკითხვით დიდი პოლიტიკური საკითხი ისმება და ჩვენ, თქვენ წარმომადგენლებს მთავრობაში, არასდროს არ აგვივლია გვერდი თქვენი მისწრაფებისათვის და სურვილებისათვის. როდესაც ჩვენ გვითხრეს რომ თქვენ ჩვენ გვიცდით განმარტების მისაღებად, ჩვენ დაუყონებლივ მოვედით მოგვეცა პასუხი ჩვენ ამრჩევლებისათვის, ვინაიდან ჩვენ თქვენს წინაშე ვართ პასუხისმგებელი. მაგრამ უპირველესად ყოვლისა სანამ თქვენ შეკითხვაზე გაგცემდეთ პასუხს, მე მინდოდა განმეცხადებინა ჯერ თუ როგორი დამოკიდებულებაა საზავო ხელშეკრულებასთან მთავრობისა და იმ სამინისტროს შორის, რომლის სათავეშიც მე ვარ. თავიდანვე ჩვენ იმ პოზიციაზე ვიდექით, რომ საქართველოს არა აქვს უფლება რუსეთის შინაურ მდგომარეობაში ჩარევისა და როდესაც უნდოდათ ამ მხრივ ჩვენზე ერთნაირი ძალდატანება მოეხდინათ, ჩვენ განვაცხადეთ, რომ მათ საბუთსაც არ მივცემთ, რომ ეს იფიქრონთქვა, რომ ჩვენ შევასრულებთ ხელშეკრულებას და არავითარ ეჭვებს არ მივცემთ ადგილს. თქვენ იცით, რომ როგორც კი შესდგა ჩვენ ტერიტორიაზე თერგის მთავრობა ვიღაც მუხარინსკის მეთაურობით, ჩვენ რუსეთთან დადებულ საზავო ხელშეკრულების ძალით, ეს მთავრობა საქართველოს საზღვრებიდან გადავასახლეთ.

ჩვენ ტერიტორიაზე არ არის არც ერთი ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც მიზნათ ისახავდეს რუსეთში, ან ადერბეიჯანში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. საზავო ხელშეკრულების ყველა პუნქტს ჩვენ სინდისიერათ ვასრულებთ. მაგრამ არც რუსეთის და არც ადერბეიჯანის მთავრობა ამას არ შვრება. ყველა ჩვენ წინაალმდეგ მომართულ გამოსვლას თუ ოფიციალურად არ უჭერენ მხარს, ყოველ შემთხვევაში მის წინაალმდეგ ზომებს არ ღებულობენ. უნდა განვაცხადო, რომ ის პირები, რომლებიც საზავო ხელშეკრულებას უნდა ახორციელებდენ, ჩვენთან სხვა პოლიტიკურ ხაზს ატარებენ არც კავკავის, არც ბაქოს და არც როსტოვის კომუნისტები არ ეთანხმებიან ცენტრს და აცხადებენ, რომ მათ შეძლება აქვთ საქართველოში არსებული მართველობის გაუქმებისა. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს და საბჭოთა რუსეთთან ჩვენ შევკარით საზავო ხელშეკრულება, რის შემდეგ მათ მოუხდათ ცალკე, ადგილობრივ საქართველოს კომუნისტების პარტიულ ორგანიზაციის შექმნა, თუმცა ფაქტიურად ისინი ძველ მუშაობას აწარმოებენ. ახლა ჩვენ დავრთეთ მათ ნება სრული ლეგალური მუშაობისა თუ ისინი არა შიშის ქვეშ, არამედ პატიოსნათ განავითარებენ თავის იდეებს, ვინაიდან ჩვენ დემოკრატიას და მის მთავრობას პირდაპირ და სინდისიერ ბრძოლის არ ეშინია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ შევინარჩუნებთ ყველა პოზიციას, როგორც ყოველთვის ვინარჩუნებდით ხოლმე. მაგრამ ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ კომუნისტებს ერთი წუთითაც არ აუღიათ ხელი წინანდელ არალეგალურ ბრძოლაზე. აი ზოგიერთი ფაქტი: ხან-ხოილის სიკვდილს ბაქოში და კავკავში სიხარულით შეხვდენ. ეს იყო აქტი კომუნისტების არალეგალური მუშაობისა, საქართველოს დემოკრატიას არას დროს არ უთქვამს უარი და არ იტყვის უარს, რომ ცალკე პირებს თავშესაფარი მისცეს. თუ ადერბეიჯანის ყოფილი მოღვაწეები, რომლებსაც ჩვენ, როგორც მუსავატელებს არ თანაუგრძნობდით, მოვიდენ ჩვენთან როგორც კერძო პირები განა შეგვეძლო ჩვენ მათთვის უარი გვეთქვა, როდესაც ჩვენთავის დროზე არ გვითქვამს უარი ჩვენ საზღვრებში შემოსვლაზე წითელ არმიელებისათვის, რომლებიც დენიკინს გამოექცენ?

ჩვენ მივეცით მათ საშუალება ნაწილ-ნაწილ წასულიყვენ და არ ვეკითხებოდით თუ სად მიდიან. ვაძლევთ რა თავშესაფარს კერძო პირთ, ჩვენ არ ვკითხულობთ მათ პოლიტიკურ რწმენას. მაგრამ აი ფაქტი: ტერორისტთა არა ლეგარული ჯგუფი მიზნათ ისახავს იმ პირების მოსპობას, რომლებიც დემოკრატიის ნდობით სარგებლობენ და აწყობენ მათზე თავდასხმას. მე არ დავასახელებ ამ პირების სახელებს, ვინაიდან ისინი ჯერ კიდევ არ არიან მართლ მსაჯულების ხელში. გამორკვეულია, რომ სამხედრო ნაწილებში მომხდარი უმნიშვნელო აჯანყებანი კომუნისტების მუშაობის შედეგი იყო. ამის შესახებ არის დოკუმენტალური ცნობები. ასე იყო ახალციხეში და ლაგოდეხში. ისინი საჩქაროდ ჩავაქვრეთ და დავამარცხეთ. ჯარსა და გვარდიაში ამ დემოკრატიის პრინციპების არა ლეგარულ მუშაობას განაგრძობენ და მთავრობა დანაშაულს ჩაიდენდა, რომ არ მიელო ზომები და არ ჩაექრო ცეცხლი, რომელმაც მოსპო და გაანადგურა რუსეთი. სოხუმის ოლქში დატუსაღებულ იქნა ცნობილი კომუნისტი კუხალეიშვილი, ერთი სამხედრო ნაწილის გამოსვლის ხელმძღვანელი. გაჩხრეკის დროს მას ყუმბარები და სამხედრო იარაღის საწყობი უპოვეს სახლში. როდესაც ჩვენ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს გასაერთიანებლად მუშაობას ვაწარმოებდით, ამ დროს საქართველოს ლეგალური კომუნისტები ტფილისიდან ბათომში „ბათომის რუსეთის კომუნისტური პარტიის კომიტეტის" ხელ მოწერილ არა ლეგალურ პროკლამაციებს აგზავნიდა და მცხოვრებლებს საქართველოს და მოკავშირეთა წინაალმდეგ გამოსასვლელად მოუწოდებდა. ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ საქართველოში მყოფი კომუნისტები ყოველ კუთხეში იარაღს იძენენ. ისინი თავის მიზანს მისდევენ: მოსპონ ჩვენი დემოკრატია და შიგნიდან ააფეთქონ იგი. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩვენ წინაშე სდგება: ვის ხარჯზე იცემა კომუნისტების გამოცემანი? საიდან ღებულობენ გაზეთის გამოსაცემ ასი ათას მანეთებს? ჩვენ აქ ასეულ ათასებზე არ გვიხდება ლაპარაკი, არამედ ათეულ მილიონ მანეთებზე, რომლებსაც ხელგაშლით არიგებენ, რათა ამ გზით მიიმხრონ ხალხის ფართო წრეები. ჩვენ გვაქვს დოკუ-

მენტები, რომლებიც ამოწმებენ, რომ ეს ფული, იარაღის შესასყიდლად და ამბოხების მოსაწყობად ჩრდილოეთიდან მოდის. ადგილობრივ დემოკრატიულ ძალების მაგივრად გამოდიან შესყიდული ძალები, რომლებიც თავის დროზე თურქესტანშიაც მოქმედებდენ, და ჩრდილოეთ კავკასიაშიაც. მთავრობა ვალდებულია ეს მუშაობა მოსპოს. ვიქნებით რა იდეური ბრძოლის პატიოსანი დამცველი, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ კომუნისტების ლეგალურ პარტიის არა ლეგალურ გამოსვლების წინააღმდეგ.

ახლა მუშათა კლასმა უნდა სთქვას თავისი სიტყვა. მთავრობა, თუ მას მხარი არ დაუჭირა და განსაზღვრული შენიშვნები არ მისცა ამრჩევლებმა, სუსტი იქნება. და თუ მუშათა კლასი მოგვითითებს იმაზე, რომ ჩვენ უნდა მოვსპოთ ეს საშიშარი და არა ლეგალური მუშაობა, მაშინ მთავრობა თავის მოვალეობას შეასრულებს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მთავრობას კომუნისტებისათვის ლეგალური მუშაობა დაეშალოთ. ჩვენ არ ვუშლით ქართველ კომუნისტურ გაზეთებს ტრაბახს იმის შესახებ, რომ მთელი მუშათა კლასი მათ მხარეზეა. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ყოველგვარი გამოსვლა რესპუბლიკის მთლიანობის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული ჩავაქროთ იმ რწმენით, რომ თქვენ თანახმა იქნებით ამისი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხიშტებით არავის არ შეუძლია მოახვიოს თავზე ჩვენ დემოკრატიას მისთვის უცხო ნება სურვილი. რკინის გზელების წარმომადგენელი ფოფხაძე აცხადებს, რომ მუშები არა ახლა უნდა შეკრებულიყვნენ ბაქოს კომუნისტების მიერ ყალბ ინფორმაციის გავრცელების საკითხის განსახილველად, არამედ ეს ადრე უნდა ვქნათ, ამასთანავე ეს საკითხი ცალკე ქარხნების მუშებს უნდა განეხილათ. ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგებია ის მიზანი, რომელსაც ბალშევიკები მისდევენ და მთელი ტრაგედია იმაშია, რომ ბალშევიკები მათ უსირცხვილოდ ატყუილებენ. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები და მუშები კომუნისტების კლანჭებიდან გამოვგლიჯოთ. პროფ. კავშირებმა პროვოკაციის წინააღმდეგ სასტიკად უნდა გაილაშქრონ. მუშებმა თვითონ უნდა ასწონ-დასწონონ ფაქტები და ბალშევიკების ამა თუ იმ ცნობების სიმართლეში თვითონ უნდა გავკიცხოთ, და იგი მსოფლიო პროლეტარიატს უნდა ვაცნობოთ. დასასრულ, ჩვენ უნდა ვთხოვოთ შეკავშირებულ პროლეტარიატის საერთაშორისო ბიუროს გამოგზავნოს ჩვენში სპეციალური მუშების კომისია, რომელიც გამოარკვევს მდგომარეობას (ტაში).

შემდეგ ლაპარაკობს ბაქრაძე და სხვა ოპოზიციონურად განწყობილი ორატორები, რომელთაც დასასრულ ყველას საბუთებით უპასუხებს ნ. რამიშვილი.

დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

### რეზოლიუცია

ტფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ყველა კავშირის გამგეობებისა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სასწრაფო თათბირმა მოისმინა რა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის მოხსენება ბოლშევიკების პროვაკაციის შესახებ, და აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის და შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის განცხადება, იმ შეკითხვის შესახებ, რომელიც მათ თათბირმა მისცა, და აგრეთვე სხვა და სხვა პროფესიონალურ კავშირების სხვა და სხვა წარმომადგენლების განცხადებანი. მიიღო შვმდეგი რეზოლიუცია.

„საქართველოს მშრომელმა მასამ საკვირველი ერთსულოვნება გამოიჩინა იმ თავდაცვით ომში, რომლის წარმოებაც მას უეცრად გაწითლებულ აზერბეიჯანთან მოუხდა. გმირული ბრძოლის შემდეგ მუშათა კლასი სიხარულით მიეგება იმ მეზობელ ხალხთან ზავის ჩამოგდების ამბავს. სამწუხაროდ საბჭოთა აზერბეიჯანის ხელმძღვანელები, თავისი ყოველ თვიურ მოქმედებით ამ ზავს საფუძველს უთხრიან, ბაქოს კომუნისტური გაზეთები ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განზრახ ყალბ ცნობებს ავრცელებენ. თვით გულუბრყვილო მკითხველებს შეუძლიანთ შეხედონ, რომ ამ ცნობებს პროვოკაციის ბეჭედი აზის. კერძოთ ასეთი ხასიათის არის ამას წინათ „ბაქოს კომუნისტიდან“ „ერთობაში“ და „ბორბაში“ გადმობეჭდილი დეპეშა მუშების მიტინგის შესახებ, რომელსაც თითქოს ტფილისში ჰქონდა ადგილი და რომელიც დახვრიტეს. ასეთ გამოგონილ ცნობებით „საბჭოთა“ აზერბეიჯანის პრესა მეტად ამწვავებს ორ მეზობელ ხალხის მშრომელთა მასების დამოკიდებულება ბაქოს გაზეთები აზერბეიჯანის მუშებსა და გლეხებს ხელოვნურათ ამხედრებენ საქართველოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ეს პროვოკაცია ჩვენ მუშების წრეებში სამართლიან გულის წყრომას იწვევს პროფესიონალურ კავშირების და ფაბრიკა ქარხანის კომიტეტების წარმომადგენლების დღევანდელი შეერთებული სხდომა საქართველოს დემოკრ. რესპ. მთავრობისგან თხოულობს, რომ ამ პროვაკაციის წინააღმდეგ დაუყონებლივ იქნეს ზომები მიღებული.

სხდომა თავის ძმურ სალამს უგზავნის ბაქოს მუშებს, რომელთაც არ შეუძლიათ რაიმე საერთო ქონდეთ თავის „წითელ“ მართველებთან და რომლებიც დღეს იძულებულნი არიან ბაქოდან გაიქცენ. საქართველოს მუშათა კლასი ბალშევიკების ანარქიულ პოლიტიკას ვერასდროს ვერ შეურიგდება, და იგი არ გადაუხვევს იმ დემოკრატიულ გზას, რომელიც ერთად ერთი სწორი გზაა სოციალიზმისაკენ. ძირს გამანადგურებელი ანარქია და სამოქალაქო ომი, რომელიც მშრომელ მასების წინააღმდეგ არის მიმართული. გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას და სოციალიზმს! სხდომამ დაადგინა საქართველოს პროფ. კავ. სახელით მიმართონ საერთაშორისო პროფ. კავშ. ბიუროს განსაკუთრებულ მემორანდუმით, რომლის მიზანი იქნება გააცნოს ყველა ქვეყნის ამხანაგებს ბალშევიკების პოლიტიკა საქართველოში და სთხოვონ გამოგზავნონ საქართველოში სპეციალური კომისია მდგომარეობის ადგილობრივ შესასწავლად. მიღებულ იქნა აგრეთვე დადგენილება მიესალმონ ბათომის პროფ. კავშ. საბჭოს ბათომის და ბათომის ოლქის საქართველოსთან შემოერთების გამო.

# უცხოეთი

### (საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

### პოლონელების მიერ კიევის დატოვება.

პოლონელების მიერ კიევის დატოვების განადგურების შესახებ თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვაზე გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა სესილ ბარნსვორდმა უპასუხა: პოლონეთში მყოფი ბრიტანეთის ელჩი, რომელმაც დატოვა კიევი ერთი დღის წინედ სანამ მას პოლონეთის ჯარები დატოვებდა, გვატყობინებს, რომ კიევიდან მისი გამოსვლის დროს, 10 ივნისს, წყალსადენი, სობორი და მთავარი ელექტრონი, სადგური სრულიად მთელი იყო და არავითარი დანგრევა არ განუცდია მათ. არ არის ეჭვი, რომ პოლონეთის მთავრობამ უკვე უარყო ბალშევიკების მტკიცება კიევის შესახებ.

### საფრანგეთი და ბელგია.

„ტაიმსი“ აცხადებს, რომ სესილ გარნვორტმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ პარიჟში ამ ჟამად მარშალ ფოშის და ბელგიის ჯარის შტაბის უფროსს შორის მოლაპარაკება სწარმოებს საფრანგეთსა და ბელგიის შორის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებო. შეკითხვაზე, ხომ არ გააქრობს ეს შეთანხმება ხელშეკრულებას ბელგიის ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელშიაც დიდი ბრიტანეთიც დაინტერესებულია, გარეშე საქმეთა მინისტრმა უარყოფით უპასუხა.

### ინგლისი და ოსმალეთი.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობების თანახმად ნაციონალისტების პარლამენტს გადაუწყვეტია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გაძალიანება. ინგლისი გამოცხადებულია ოსმალეთის მტრად. დამად ფერიდ ფაშა და მისი ამხანაგები კი უცხოელების მონებად.

### ელზას-ლოტარინგის ავტონომია.

„ტანი“ იუწყება, რომ დეპუტატთა პალატაში აღძრულია საკითხი ელზას-ლორენში ავტონომიის გამოცხადების შესახებ.

### ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგის კომიტეტმა გადასწყვიტა მუდმივი მართლ მსაჯულების საერთაშორისო ტრიბუნალის დაწესება. ამ ტრიბუნალს გადაეცემა გადასაწყვეტად ყველა ის საქმე, რომლებმაც საერთაშორისო დიპლომატიურ წრეებში ესა თუ ის შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ამ ტრიბუნალში ყოველ ხალხს აქვს საშუალება თავისი ინტერესები დაიცვას.

### ოსმალეთის საკითხი.

დამად-ფერიდ ფაშამ ოსმალეთის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა: დიდმა ვეზირმა განაცხადა, რომ ოსმალეთი საკითხს ფრაკიის, სმირნის და აგრეთვე სრუტეების შესახებ მიუღებლად სთვლის. ოსმალეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეურიგდეს სრუტეებზე საერთაშორისო საკანტროლო კომისიის დაწესებას, თუ ოსმალეთი ამ კომისიაში თანასწორ უფლებიან წევრად იქნება წარდგენილი.

### სპარსეთის საკითხი

„იდეა ნაციონალი“ გადმოგვცემს, რომ ხალხთა ლიგამ დაადგინა მომავალში აღარ განიხილოს სპარსეთის საკითხი, იმიტომ რომ სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა არ დაუცადა რა ლიგის გადაწყვეტილებას, თითონ დამოუკიდებლად გამართა ჩიჩერინთან პირდაპირი მოლაპარაკება სპარსეთის ტერიტორიის ბალშევიკების ძალებისაგან გაწმენდის შესახებ.

### ბალშევიკები და ფინლიანდია.

„დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ ბალშევიკებმა, რომლებიც ფინლიანდიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებდენ დორპატში, ფინლიანდიას მოთხოვნილება წარუდგინეს: იცნოს ის სახელმწიფო სესხი, რომელიც ძველმა რუსეთის მთავრობამ აიღო. ბალშევიკები მოითხოვენ აგრეთვე მიიღოს ფინლიანდიამ მონაწილეობა რუსეთის იმ სამხედრო ხარჯების დაფარვაში, რომელიც მის რუსეთიდან ჩამოშორებამდე იყო გაწეული.

# ახალი ამბები

✦ **სამხედრო სამინისტროსაგან.** მიუხედავად ჩემი ბრძანებისა ჯარების მიმართ ამ წლ. 17 მარტიდან № 69. ჯარისკაცები განაგრძობენ სხვა და სხვა თხოვნების უშუალო გზავნას როგორც ჩემს, ისევ სხვა მინისტრთა თანამდებობის პირთა სახელზე. ეს გავლენა აიხსნება იმით, რომ ჯარისკაცების უფროსებმა ვერ ჩააგონეს მათ ჩემი კატეგორიული ბრძანება, იმათ ვერ დაიცვეს სიმტკიცით სამსახურის მოთხოვნილებანი.

ვბრძანებ: ნაწილების უფროსებმა, განუმარტონ ჯარის კაცებს, უფროს ოფიცრებს, თუ რა სახით და ვის უნდა მიმართონ თავის თხოვნა-განცხადებებით ზედმეტი მიწერ-მოწერის ასაცილებლათ, რომელიც ხდება ეხლა. ჯარისკაცებიდან უშუალოთ შემოსული თხოვნები ამიერიდან არამც თუ არ განიხილება არამედ მათი უფროსები ბრძანების შეუსრულებლობისათვის დასჯილნი იქნებიან. სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე.

✦ **საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება.** საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება ამით აცხადებს, რომ მის მიერ მოწყობილი არის მიმოსვლა ავტომობილებით შემდეგი გზით: ტფილის—კოჯორი—მანგლისი და ტფილის—ყაზბეგს შუა. ქუთაის—ხონი—სამტრედია, ქუთაისს—ბაღდათ და ქუთაისს—ონს შუა, სოხუმ—ახალი ათონ—გუდაუთ—გაგრას შუა. სოხუმ—ოჩემჩირი—ზუგდიდ—ახალსენაკს შუა, ბორჯომ—ახალციხე—აბასთუმან—ახალ-ქალაქ შუა. სულ ამ ჟამად 35 ავტომობილი მოქმედებს. ბათომსა და გაგრას შორის დადის საზოგადოების შემდეგი გემები: „ქართლი“, „ტფილისი“, „ქუთაისი“ და „სოხუმი“.

✦ **ფოილოს ხიდის შემოწმება.** გზათა ექსპლოატაციის უფროსის განკარგულებით ტფილისსა და სალოღლის შუა დანიშნულია მოსამსახურეთა მატარებელი ტეხნიკურ კომისიისათვის, რომელიც გზათა სამმართველოს ინჟინრებისაგან შესდგება, ფოილოს ხიდის მდგომარეობის შესამოწმებლად.

✦ **შავი ქვის დამუშავება და გაზიდვა.** შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გამოიმუშავა ცნობა შავი ქვის დამუშავებისა და გაზიდვის შესახებ 1918—1919 წლეებში და 1920 წლის პირველ ნახევარში. ამ ცნობის თანახმად 1918 წელს დაუმუშავებიათ 1.583,300 ფუთი. 1919 წლ. 3.345,000 ფუთი, 1918 წელს გაუტანიათ: ზღვით 1.983,388 ფუთი, რკინის გზით—2.035,250 ფუთი, მაღაროებში მუშაობდა 220 კაცი. 1919 წ. გაუტანიათ რკ. გზით 2.025,895 ფუთი, ზღვით 332,000 ფუთი, სულ მუშაობდა 250 კაცი. მიმდინარე წლის ოთხი თვის განმავლობაში გატანილია რკინის გზით 1.801,750 ფ. და ზღვით უკანასკნელ ორითვის განმავლობაში ე. ი. მარტსა და აპრილში 1.060,217 ფუთი.

✦ **მადლობა ქალაქთა კავშირს.** ქალაქის შრომის ბირჟამ ქალაქთა კავშირს უმუშევართა ფონდში 10000 მან. შეტანისათვის მადლობა გამოუცხადა.

✦ **რუსეთის სახელმწიფო ბანკი.** ფინანსთა სამინისტრომ ტფილისის სახელმწიფო კასას წინადადება მისცა თავის შენობის ნაწილი მოაწყოს რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორად.

✦ **სამხედრო ტეხნიკურ უწყებაში.** სამხედრო სამინისტროს ინიციატივით ერობებს წინადადება მისცეს გზებისა და ხიდების გასაკეთებლად სამხედრო საპიორები გამოიყენონ.

✦ **დასახიჩრებულ ჯარისკაცთა საჭიროებისათვის.** რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ სამხედრო - სამინისტროს განკარგულებაში გადასდო 200,000 მანეთი დაჭრილ და დაავადმყოფებულ ჯარისკაცთა და გვარდიელთა საჭიროებისათვის. ამ ჯამიდან ნაწილს გადასდებენ აბასთუმნისა და ბორჯომის სანატორიუმებისათვის და ახტალისა და წყალტუბოს საავადმყოფოებისათვის.

✦ **წითელ ჯვარის მოქმედება. საექიმო დახმარება აჭარელებს.** საქართველოს წითელი ჯვარი აჭარელებისათვის სოფ. კოდაში (ზემო აჭარა) ხსნის ლაზარეთს 100 კაცისათვის.

✦ **მადლობა წითელ ჯვარს.** სახალხო გვარდიის საველე შტაბმა მადლობა გამოუცხადა წითელი ჯვრის რაზმს, ექ. ვაჩნაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც წითელ ხიდთან დიდი დახმარება აღმოუჩინა დაჭრილებსა და ავადმყოფ გვარდიელებს. რაზმის მთელმა შემადგენლობამ დაიმსახურა მადლობა და ყველა სიამოვნებით იგონებს იმ სწრაფ დახმარებას, რომელიც მათ გვარდიელების მიმართ გამოიჩინეს. საექიმო-სასანიტარო განყოფილება გულითად მადლობას უძღვნის როგორც ექ. ვაჩნაძეს აგრეთვე მთელ პერსონალს.

# ფოსტა-ტელეგრაფში.

### შემოსავალი ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების ოპერაციისაგან.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებების 1920 წლის ოპერაციებიდან შემოსული ფულის ანგარიში უკვე დაასრულა. ფოსტების ოპერაციებიდან შემოსულია—1.853,000 მან. დეპეშათა ოპერაციებიდან—3.582,000 მ. ტელეფონის—548,000 მან. მიმდინარე წლის მაისში შედარებით შარშანდელ მაისიდან შემოვიდა: ფოჩტის ოპერაციები 1.745,000 მან. მეტი, დეპეშათა—3.113,000 მან. მეტი და ტელეფონის ოპერაციიდან—498,000 მან. მეტი.

### ინგლისის სარდლობის ვალი.

ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ბათომიდან, ინგლისის სარდლობიდან ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციების ვალის ანგარიშში, 2.348,564 მან. მიიღო.

### საფოსტო განყოფილება.

შორაპნის მაზრის დაბა ჩხარში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათ გადაკეთდა.

# რკინის გზაზე

### რკინის გზის მოძრაობის მოწესრიგება.

გზის საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის განკარგულებით მიღებულია ზომები მომავალში მატარებლის დაგვიანების წინააღმდეგ. მატარებლის №№ 21, 22 მოსაწესრიგებლად ტფილის-ხაშურის ხაზზე დანიშნულია სათადარიგომატარებელი. გარდა ამის დანიშნულია სპეციალური აგენტები, რომელთაც ევალებათ სასტიკი თვალყური ადევნონ ამ მატარებლისა და საზოგადოთ რკინის გზებში მიმოსვლის წესრიგს და აგრეთვე მატარებლების წესიერად შედგენას.

აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ თვალყურის დევნება, ვალდებულნი არიან იქვე მიიღონ ზომები წესრიგის აღსასრულებლად და დამნაშავეთა შესახებ დაუყონებლივ აცნობონ ექსპლოტაციის უფროს, რომელთა წინააღმდეგ მიღებულ იქნება სასტიკი ზომები, სამსახურიდან დათხოვამდის. გარდა ამისა ექსპლოატაციის უფროს უნდა წარუდგინონ ყოველ კვირეულად დაწვრილებითი მოხსენება უბანში მუშაობისა და აგენტების შეცდომათა შესახებ. წესიერი მოძრაობის დარღვევისათვის პასუხისმგებელნი არიან დამნაშავეთა გარდა მოძრაობის კანტროლიორები.

# ერობა

### ინსტრუქცია სამაზრო ერობებს.

ერობათა კავშირის კომიტეტმა ყველა სამაზრო ერობას დაუგზავნა ინსტრუქციები, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ ერობების ტეხნიკურ საჭიროებების წესიერად დასაკმაყოფილებლად და საჭირო მასალების და პროდუქტების მისაწოდებლად, შეძლების დაგვარად აუცილებლად უნდა იქნეს გამორკვეული ერობების საშვალებანი, სამრეწველო დაწე-

ხელსაყრელი კითხვების მიხედვით ... ხმულებანი საწყობები, გადასაზიდავი საშუალებანი, გზების და ხიდეების მდგომარეობა და სხ. შემდეგ ინსტრუქციაში ჩამოთვლილია კითხვები, რომელზედაც სამაზრო ერობებმა და თემებმა პასუხი უნდა მისცენ.

# ტფილ. ქალაქის საბჭო

**12 ივლისის სხდომა 1920 წ.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

დღიურ წესრიგში დაყენებულია საკითხი წყლის ტარიფის გადიდების შესახებ, რამაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. რადგან ქალაქის საბჭოს წყალსადენიდან დიდი დეფიციტი აქვს, ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა წყლის ტარიფის მომატება. დღემდის ვედრო წყალი ღირდა 10 კაპ. საჭიროა გადიდეს 20 კაპ. უკეთეს შემთხვევაში კი 25 კაპ. რადგან გამოანგარიშებულია რომ თუ წყლის ტარიფი გადიდება 25 კაპ. მაშინ ეს ახალი ტარიფი არამც თუ დაჰფარავს დეფიციტს პირიქით სარგებელსაც შემოიტანს. ამ საკითხის შესახებ ლაპარაკობენ ბ-ნი დ. აფხაზი და დ. ვაჩნაძე.

ბ-ნი **აფხაზი** აღნიშნავს რომ თავის თავად წყლის ტარიფის მომატება მისაღებია, მეტი გზა არა აქვს საბჭოს, მაგრამ საჭიროა რაიმე სხვა სახსარის გამოძებნა რომ მომატება და სახელმწიფოდან სესხის აღებამ უკიდურეს გაჭირვებაში არ ჩაგვაგდოს.

ბ-ნი **ვაჩნაძე** მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საერთოდ მძიმე პირობები იქმნება ასეთ მომატებით. ეს მომატება იწვევს ბაზარში ყოველთვის ფასების ერთი ორად აწევას. იგი მოითხოვს წყლის ტარიფის მხოლოდ 15 კაპ. გადიდებას.

ხმის უმრავლესობით მიღებულ იქმნა წყლის ტარიფის გადიდება 20 კაპ. შემდეგ განხილულ იქმნა ტრამვაის ტარიფის მომატების შესახებ. ხმის უმეტესობით მიიღეს: 2 მანეთიანი ბილეთი გადიდება 3 მან. 3 მანეთიანი ბილეთი—5 მან. და 6 მანეთიანი—10 მან.

**ალ. ლომთათიძე** მოახსენებს საბჭოს სხვა და სხვა პირთა საქართველოს მოქალაქედ ჩარიცხვის თხოვნების შესახებ. მომხსენებელი ამცნობს დამსწრე ხმოსნებს რომ ქალაქ. საბჭოში დღითი დღე შემოდის 10—15 თხოვნები სადაც თხოულობენ სხვა და სხვა პირნი საქართველოს მოქალაქეთა ჩარიცხვას. საბჭოს დადგენილებით მთხოვნელები შეიძლება დაკმაყოფილდნენ საქართველოს ქვეშევრდომობის გამოცემულ კანონით პირველი და მეშვიდე მუხლის ძალით. ივ. გომართლის აზრით საჭიროა ამ საქმისთვის შესდგეს საგანგებო კომისია 5 წევრისგან. სოც.-დემ. ფრაქციიდან ამ კომისიაში შევიდნენ ალ. ლომთათიძე, რუსია და გომართელი, სოც.-ფედ. ფრაქციიდან გრ. გველესიანი და ნაც.-დემ. ირ. გუნცაძე.

საბჭომ დაადგინა გარდაცვალებულ პოეტს ნოე ჩხიკვაძის ოჯახის დასახმარებლად ერთდროულად გადასდოს 5.000 მან.

შემდეგ საბჭომ მიიღო ქალაქის გამგეობის შემდეგი მოხსენებანი: შრომისა და სოციალურ დახმარების სპეციალურ ფონდიდან საბავშვო სახელოსნო „პაპიე-მაშე"-ს განყოფილების გასახსნელად 70,000 მან. კრედიტის გახსნის და სხვა და სხვა გასართობებზე შეწერილ საქალაქო გადასახადის მთელი თანხის შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილების სპეციალურ ფონდში გადასვლის შესახებ. გამგეობის მოხსენებანი სავაადმყოფოებში და სამკურნალოებში გადასახადის გადიდების და სადალაქოებში და საპარიკმახეროებში საათების განსაზღვრის შესახებ გადაიდო შემდეგ სხდომისთვის.

# სასამართლოში

**შალვა მაღლაკელიძისა და სხვების საქმე.**

(10 ივლისის სხდომა).

**ბრალმდებელი** აღნიშნავს, რომ საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მინისტრების რამიშვილისა და ხომერიკის და მინისტრის ამხანაგის ჭიჭინაძის ჩვენებას და ამიტომ თხოულობს, გაეგზავნოთ ხელმეორედ უწყებები და იმ შემთხვევაში, თუ მათ კვლავ არ შეუძლიანთ მოსვლა, მაშინ თანახმად კანონისა ისინი დაკითხულ იქმნან სახლში.

სასამართლო ადგენს გამოწვეულ იქმნენ სასამართლოში ეს მოწმენი, აგრეთვე ტფ. მილიციის უფროსის თანაშემწე კალანდარაშვილი.

**მოწმე ზორიანი** (დამფ. კრების წევრი), რომელსაც მაღლაკელიძე ახალციხეში გაუცვნია 1917 წლის ბოლოს, ადასტურებს, რომ მაღლაკელიძეს ახალციხეში რაზმი ჰყავდა, მძიმე პირობებში მუშაობდა და დახმარებას აძლევდა სურსათით გვარდიელებს. შემდეგ მოწმე მხარეების კითხვების პასუხად ამბობს: სომხურ ეროვნულ საბჭოს იარაღი სჭირდებოდა და კიდეც იძენდა ფულით, ნაწილი აკაკი ჩხენკელისაგან მიიღო. საბჭოს იარაღი მისცა აგრეთვე მაღლაკელიძემ ახალციხის ქალაქის თვითმართველობის გარანტიით. ეროვნულ საბჭოსთვის იარაღს ყიდულობდა ჰაიკ ტორქომიანცი, რომელსაც ამ მიზნისთვის 12 თუ 14 ათასი მანეთი მიეცა. ჩაჩიბაიაზე გამიგონია იარაღს ყიდდა. ეს კიდეც მჯეროდა, რადგანაც ჩაჩიბაია განცხრომით ცხოვრობდა. ტორკომიანცისაგანაც გამიგონია, ჩაჩიბაიასგან იარაღს ვყიდულობო. სომხურ ეროვნულ საბჭოს მაღლაკელიძისთვის ბენზინი არ მიუცია, რადგანაც თვითონაც არა ჰქონდა.

**მოწმე მონიავა** კითხვებზე უპასუხებს და შემდეგს ამბობს: არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ მაღლაკელიძეს თავის მოკვლა ნდომოდეს, ის კი უთქვამს, რომ ჩაჩიბაიას დახმარებით შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩემს წინააღმდეგ ინტრიგას აწარმოებენ ვიცე-დირექტორი ნანეიშვილი, მდივანი ლომთათიძე და სხვებიო. სახლის ყიდვის ამბავი თვით მაღლაკელიძისაგან გავიგე. არ მომეწონა და უთხარი კიდეც, ეს ცუდს ხმებს გამოიწვევს მეთქი. მან ამიხსნა, ცოტა ფული ჩემს ცოლს ჰქონდა და ზოგიც მამამ მომცაო.

**მოწმე გომართელი** (ტფ. მაზრის ყოფილი კომისარი). თელავში მაღლაკელიძეს მეც ვახლდი. ჯამაგირს გარდა ვიღებდი დღიურსაც ისევე, როგორც სხვები. გარემოება მაშინ ისეთი იყო, რომ შეუძლებელი იყო სალარო წესების დაცვა. იმ დროს, როდესაც მაღლაკელიძის მამა ტფილისში იყო ჩამოსული, მე შემთხვევით მოვხვდი მაღლაკელიძის სახლში და ხელიც მოვაწერე იმ ქაღალდს, რომლითაც შალვა მაღლაკელიძემ თავის წილ მამულზე უარი სთქვა ძმის სასარგებლოდ.

მოწმე **თულაშვილი** (საგანგებო სასამართლოს წევრი, ყოფილი გამგე გენ.-გუბერნატორის კანცელარიისა) გამოწვეულია იმ გარემოების გამოსარკვევად, მართლა გადასცა მის თანადასწრებით ჩაჩიბაიამ მაღლაკელიძეს ის 150 ათასი მან., რომელიც ხაზინიდან ჩაჩიბაიამ გამოიტანა და შემდეგ გაფლანგულ იქმნა. მოწმე ამბობს: მახსოვს ერთი შემთხვევა და სხვა არც ყოფილა, რომ ჩაჩიბაიამ ხაზინიდან გამოიტანა 300.000 მან. და მაღლაკელიძეს დაუწყო კაბინეთში. ეს სომეხ-ქართველთა ომის დროს იყო. ეს ფული გადადებული იყო მაშინ დაპატიმრებულ სომხების შესანახად. ამ თანხიდან 200 ათასი მან. ეკუთვნოდა ტფ. მაზრას და გადებული იყო გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში, ხოლო 100 ათასი მან. გაიგზავნა ქუთაისს, სადაც დაპატიმრებულნი იგზავნებოდნენ. ჩაჩიბაიასგან მოტანილი ფული მე თვით მივიღე, როგორც კანცელარიის მმართველმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზინადარს მივეცი შესანახად, რადგანაც გენ.-გუბერნატორის კანცელარიაში შესაფერი სალარო არა გვქონდა. იქიდან ფული იხარჯებოდა საჭიროების და კვალად. სხვა შემთხვევა ჩაჩიბაიასგან მაღლაკელიძისთვის ფულის გადაცემისა ჩემის თანადასწრებით არა ყოფილა.

მოწმე **პოლკ. ხილჩაშვილი** (საგუბერნიო ბათალიონის სამნეო ნაწილის ყოფილი გამგე და შემდეგ ბათალიონის უფროსი) დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს ბათალიონში არსებულ წესებისა და ფულის ანგარიშების წარმოების შესახებ.

## განცხადებანი

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 24 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ბესარიონის ძე მიქაბაძის მიერ თედორე ანდრიას ძე გრიგოლავაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ლექვინაძეების შესახვევი შენობებით ზომით 64 კ. ს.2000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 800 მან. მთავარი ამონაწერი 200 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 24 ივლისს 1020 წ. 733 1—1

დაიკარგა საზღვარ გარეთელი პასპორტი ისააკ ეფრაძის ძე დაგვირელის სახელზე, მიღებული საქართველოს კონსულიდან ქ. ბათომში 1920 წ. 1810 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ქუთაისის ნოტარიუსისაგან 29 მაისს 1920 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე თეოფინე ფილიპეს ძე ლომიას მიერ, რომელიც ეკუთვნოდა მცხოვრებს ს. ბანძაში გრიგოლ ალექსანდრეს ძე ფალავას მდებარე დაბა ბანძაში სენაკის მაზრისა და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით $2^1/_2$ ქცევა სამძღვრებ შორის: აღმოს. და სამხრ. სამოსახლო გრიგოლი ფალავასი, დასავლეთით—იონა გაბუნიასი, და ჩრდილოეთით—გზა გიორგი გაგუასი და სოლომონ წირქვაძის ფასი 51 მან. სიმტკიცის ბაჟი 1 მან. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 4 მვნისს 1920 წ. დაამტკიცა 8 აპრილს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ლილოსი ივანეს ასული, ბორის, ნინო და ელისაბედ ზაქარიას ძე და ასული ფურცევანიძეების, ეკატერინე ზაქარიას ასული გორგაძის და მარიამ ზაქარიას ასული ბაქრაძის მიერ დიმიტრი ვლადიმერის ძე შერაშენიძეზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე შენობით ზომით 156 კ. ს. მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 2400 მან. მთავარი ამონაწერი 600 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 4 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 5 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 21 აპრ. 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ალექსანდრე ბესარიონის ძე მხეიძის მიერ ალექსანდრე სოლომონის ძე ბერიაზე, ეპიფანე ნიკოს ძე ასათიანზე და ბესარიონ სიმონის ძე ნანავაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქალაქ ახალ-სენაკში ზომით 1522 კ. ს. 150.000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 6120 მან. მთავარი ამონაწერი 1530 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 5 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 10 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 24 მაისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული გიორგი ივანეს ძე ნიკოლოზ ივანეს ძე და მარიამ ივანეს ასული მახარაძეების მიერ პროკოფი ბიჭიას ძე გოგობერიძეზე და კირილე გიორგის ძე კაპანაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ჰავჰავაძის ქუჩაზე შენობით ზომით 117 კ. ს. 200.000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 8000 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 10 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 10 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული დავით გაბრიელის ძე შანავაძის მიერ არტემ ოქროპირის ძე ცირეკიძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ბალახვანოვის ქუჩაზე შენობით ზომით ა. და დ. მხრით 14—14 და ნახევარ-ნახევარი საჟენი, ჩ. და ს. მხრით 7-7 საჟენი. 50.000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი ხადახდილია 2000 მან. მთავარი ამონაწერი 500 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 10 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 23 ივნისს 1920 წ. დამტკიცა 11 მაისს 1920 წელსა შესრულებული ნასყიდობა მიცემული ალექსი სოლომონის ძე როკვას მიერ. ვასილ ჩიტანას ძე გურგენაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ფოთში, № 1176 ნომრის ქვეშ შენობებით ზომით 156 კვ. საჟ. 1000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 40 მან. მთავარი ამონაწერი 10 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 23 ივნისს 1920 წ. 733 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 24 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 41 დეკემბერს 1910 წ, შესრულებული ნასყიდობა მიცემული ონისიმე იგივე მოსე დიმიტრის ძე თყრეშიძის მიერ ლევან ივანეს ძე თეოსოვზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ქუთაისში, ლევაშოვის ქუჩაზე შენობებით ზომით $10^{37}/_{10}$ კ. საჟ. 7000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 280 მან. მთავარი ამონაწერი 70 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 34 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 23 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 29 მაისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემულ- მარიამ ბიქტორის ასული მიხაილოვის მიერ ბიქტორ ბეგლარის ანჯაფარიძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში შუა უბანში, პუშკინის ქუჩაზე შენობით ზომით 1484 ვ. ს. 2000000 მანეთად სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 80000 მან. მთავარი ამონაწერი 20.000 მ. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 28 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 11 ივნისს 1920 წ. დამტკიცდა 17 მაისს 1920 შესრულებული ნასყიდობა მიცემული სიმონ მარდახის ძე ციციაშვილის მიერ მიხეილ აბრამის ძე ენუქაშვილზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ბაზრის ქუჩაზე შენობით ზომით 6 კ. ს. და 8 ოთხ. კუთხიანი არშინი 150000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 6000 მან. მთავარი ამონაწერი 150000 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 11 ივნისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიული არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ქუთაისის ნოტარიუსისაგან 6 სექტემბერს 1920 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე იოსებ იასონის ძე ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც ეკუთვნოდა მცხოვრებს ქალ. ქუთაისში ნიკოლოზ ვასილის ძე მესხს მდებარე ქალაქ ქუთაისში და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 450 ოთხკ. საჟ. საზღვრებ შორის ფასი 1038 მან. ამონაწერი 4 მან. 50 კაპ. 733 1—1

დაიკარგა ჯარში გაწვევ ნაწილში მიწერილობის მოწმობა № 159 ალექსანდრე გეურქის ძე ტერ-გრიგორიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1761 3—3

დაიკარგა ორი საბარგო კვიტანცია №№ 31610 და 31611, ფირმა ტ. ვალაცის მიერ გამოგზავნილ საქონელზე ბათუმიდან ტფილისში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1762 3—3

დაიკარგა პასპორტი სიმონ მამაგეიშვილის სახელზ, მიღებული როსტოვის საქართველოს საკონსულოდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1760 3—3

დაიკარგა მოწმობა № 417 სამხედრო აღრიცხვის უფროსთან გამოცხადების გიორგი ქართველიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. პირველ ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1755 3—3

დაიკარგა მოწმობა სამხედრო ბევრის მოსახდელათ მიწერილობაზე № 5554 გრიგოლ ნესტორის ძე მეტრეველის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულათ საითვალოს. 1757 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 8394, მინა ჯაშინას ძე ნეფარიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1741 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 27 ტიხონ ათანასეს ძე პროხოროვის სახელზე, მიღებული იანოვო-შეპტუხოვის ოლქიდან დონის ოლქი—1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1742 3—3

დაიკარგა პასპორტი გაცემული ქ. ბაქოს მე-6 უბ. საპოლიციო სამმართველოდან 8|II 1919 წ. №1316 ალექსანდრე პეტრეს ძე ფოხტის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1733 3—3

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი № 678 იოსებ კევლემის ძე რაბინოვიჩის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1784 3—3

დაიკარგა სიმტკიცის მოწმობა პეტრე რაფიელის ძე ოგანჯანოვის სახელზე, შედგენილი სიღნაღის ნოტარიუსის ჯაფარიძის მიერ 1896 წ. და დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის მიერ რეესტრით № 1051 1787 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.